ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135.135222441**
თარიღი:**01/09/2022**

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის“ დაფუძნების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ზ“ პუნქტის, მე-20 მუხლის, 54-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106^1 მუხლის 1-ელი, მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11.22. №24 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 ივლისის №134-1342220640 წინადადების საფუძველზე:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს მესტიის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **“მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“-ის** დაფუძნების მიზანშეწონილობაზე;

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **„მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“-ის** დამფუძნებლის უფლებამოსილება განახორციელოს მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი